

საზოგადოება

მსჯელობა ეროვნული სატყეო პოლიტიკის დოკუმენტზე

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში 22 ივლისს გამართულ შეხვედრაზე ეროვნული სატყეო პოლიტიკის დოკუმენტი განიხილეს.



შეხვედრაში გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი ხათუნა გოგალაძე, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს თავმჯდომარე ბიძინა გიორგობიანი, დამოუკიდებელი სატყეო ექსპერტები და არასამთავრობო ორგანიზაციების 40-ზე მეტი წარმომადგენელი მონაწილეობდა.

როგორც ბიძინა გიორგობიანმა განაცხადა, დოკუმენტი დიდი ხნის განმავლობაში მუშავდებოდა. 1 თვის მანძილზე კი სამინისტროს ვებ გვერდზე იყო განთავსებული და ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო მასზე შენიშვნების გამოთქმა.

სატყეო პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს ქვეყნის სატყეო პოლიტიკას საქართველოს ყველა ტყისათვის, მიუხედავად მათი საკუთრებისა და მართვის ფორმისა და მოიცავს ყველა იმ ასპექტს, რაც მნიშვნელოვანია ქვეყანაში ტყეების მდგრადი მართვის პრაქტიკის

დასამკვიდრებლად. დოკუმენტის ძირითადი პრიორიტეტებია: ტყის რესურსების რაციონალური გამოყენება, ტყის მფლობელობა, მართვა და სარგებლობის უზღვევა, ტყეების მდგრადი მართვა, ადაპტაცია კლიმატის ცვლილების ზემოქმედებასთან, ტყეების მართვა და კონსერვაცია, განათლება და მეცნიერება, საზოგადოების ცნობიერება და ჩართულობა.

შენიშვნების 6 გვერდი გაუგზავნა სამინისტროს ეროვნული სატყეო პოლიტიკის დოკუმენტთან დაკავშირებით ორგანიზაცია "შწვანე ალტერნატივას" წარმომადგენელმა ირაკლი მაჭარაშვილმა. მაჭარაშვილი დოკუმენტის განხილვაზე იმყოფებოდა და შენიშვნების გამოთქმის საშუალება იქცა მიეცა. შენიშვნები ძირითადად პროცედურებს ეხებოდა. მისი თქმით, განხილვების კამპანია უნდა დაიგეგმოს. ასევე პარლამენტში წარდგენის პროცედურებიც უნდა დადგინდეს.

როგორც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა ხათუნა გოგალაძემ განმარტა, პარლამენტის კომიტეტთან ამ საკითხზე მსჯელობა მიმდინარეობს და სავარაუდოდ, სამომდგომო სესიაზე იქნება შესაძლებელი მისი გატანა.

ირაკლი მაჭარაშვილის თქმით, დოკუმენტში ასევე ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული მიზანი. სამინისტრომ ეროვნულ სატყეო დოკუმენტში ხედავს კი არა, პოლიტიკა უნდა განსაზღვროს. რაზეც სააგენტოს თავმჯდომარე ბიძინა გიორგობიანიც დეთანხმა.

"საქართველოში სატყეო დოკუმენტი არასდროს არ ყოფილა დამტკიცებული. ამას ახლა ვაკეთებთ და თუ რამე ჩასამატებელია, ჩავამატებთ. ამისთვის ღია ვართ", - განაცხადა გიორგობიანმა.

შენიშვნები გამოითქვა ტერმინოლოგიის თვალსაზრისითაც. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ნოდარ ელიზბარაშვილის თქმით, დოკუმენტი ცუდად ნათარგმნის შთაბეჭდილებას ტოვებს. მისთვის გაუგებარია, რას ნიშნავს იგივე "სატყეო ტურიზმი". ასევე, მისი აზრით, "საფრთხეების" მაგივრად კარგი იქნება, თუ "პრობლემებს" გამოიყენებენ. "საფრთხე" მომავლის შეიძლება იყოს, ჩვენ კი დღეს "პრობლემები" გვაქვს", - აღნიშნა ელიზბარაშვილმა. მისი შენიშვნაც ასევე გაზიარებული იქნა.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო ეროვნული სატყეო დოკუმენტის იურიდიული მნიშვნელობასაც. ვინაიდან მას პარლამენტი მიიღებს, იურიდიული ძალა ექნება.

ბიძინა გიორგობიანის განცხადებით, ეროვნულ სატყეო დოკუმენტზე განხილვები გრძელდება. მან შეხვედრის მონაწილეებს მეორე დღისთვის სააგენტოში მისვლა შესთავაზა, რათა ერთობლივად შეიტანონ დოკუმენტში შენიშვნები.

Tweet 0, G+1 0, Like Share 0



8 საკითხი _ წულუკიანის უწყებამ არაეფექტური მუშაობის შედეგებზე



ვინ არიან ოზურგეთის სოფლებში მაჟორიტარი დეპუტატების კანდიდატები



აღდგება თუ არა სამართლიანობა მიხეილ სააკაშვილის დაჭერით



"მინდოდა ღირსეული სიბერე მქონოდა..."



"ჯავახვი" სომხური ენისთვის სტატუსის მინიჭებას ითხოვს



ზაზა ხატიაშვილი შსს-სგან ბოდიშის მოხდას მოითხოვს



"მერაბიშვილის განცხადება საფუძველს მოკლებულია"



პარლამენტს საჯარო სამსახურის მარეგულირებელი ახალი



"დავებნართ პატიმრებს, ნუ მივატოვებთ გასაქირში"



"არხის მფლობელთან დეზინფორმაცია მიჭონდათ და ივანიშვილი



კლუბ "გურიას" დირექტორის შვილი გარდაიცვალა



დღის ფოტო _ ბურჯანაძის ოფისი ჩოხატაურში



წყლის სისტემის რეაბილიტაცია და რეაბილიტაციის შემდეგ



სად გაქრა 91 833 ცალი ჩამოწერილი წიგნი?